ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N2

სხდომის ჩატარების დრო:
22 დეკემბერი, 2021 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის

შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ლევან სანიკიძე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
მაგდა კოსტავა, თეიმურაზ ნადირაძე, ამირან კოპალეიშვილი, მამუკა რიჟამაძე, ზაქრო მამასახლისი, მაია სიმონიძე.

სულ: 7 წევრი.

არ ესწრებოდნენ: ბესიკ ბრეგაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე, დავით ბახტაძე.

სულ: 6 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე დავით ერემეიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე იუზა უგულავა, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი დავით ნიშნიანიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-საბინაო ინფრასტრუქტურის მართვის და განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი ჯონდო არაბიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, მირზა ხიდაშელი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის

პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ვალერი სილაგაძე, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის“ დირექტორი მალხაზ ბასილაძე, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეც სერვისების“ დირექტორი თენგიზ არსენიძე, ტურიზმის ცენტრის დირექტორი მარიამ დევიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ირაკლი შენგელია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გია ბასილაძე.

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ლევან სანიკიძემ** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განსახორციელებლად თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამებით განსაზღვრული ღონისძიებების დამტკიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის N41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;

დღის წესრიგთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 7-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ბრეგაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის- **„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განსახორციელებლად თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამებით**

განსაზღვრული ღონისძიებების დამტკიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის N41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-საბინაო ინფრასტრუქტურის მართვის და განვითარების სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **ჯონდო არაბიძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ჯ.არაბიძემ** აქვე განმარტა: „როგორც მოგეხსენებათ, 2022 წლისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელმა ხელისუფლებამ აიღო აქცენტები თანაქალაქელების მძიმე, სოციალური ფონისა და მათი მოთხოვნების გათვალისწინებით, ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების კიდევ უფრო მეტად გაძლიერებაზე, რისთვისაც გვინდა არსებულ პროგრამებს დავამატოთ კიდევ სამი პროგრამა: 1)საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების კაპიტალური შეკეთებისათვის ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ, აქამდე ჩვენ ვახორციელებდით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის გადასახური მასალის გადაცემის პროგრამას, რომელიც საკმაოდ მოთხოვნადი პროგრამა იყო, სოლიდური თანხები იქნა დახარჯული აღნიშნული მიმართულებით გასულ წლებში, თუმცა დარჩა ისეთი კორპუსები, სადაც მეტნაკლებად არის პრობლემები და გვაქვს სურვილი ამ ახალი პროგრამით განვახორციელოთ დაზიანებული სახურავების კაპიტალური შეკეთება, ამ შემთხვევაში თანადაფინანსების წილი არის 5 სართულიან კორპუსებში 90/10%, ხოლო 5-დან ზევით სართულების არსებობის შემთხვევაში-85/15%. მიუხედავად იმისა, რომ სკეპტიკურად ვუყურებდით ამ პროგრამის მოთხოვნადობის საკითხს, დღეის მდგომარეობით უკვე დაწერილია 50 განცხადება და მომართვიანობა ყოველდღიურად იზრდება.“

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ლევან სანიკიძე:** „რატომ არის თანადაფინანსების წილი დიფერენცირებული სართულების მიხედვით?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-საბინაო ინფრასტრუქტურის მართვის და განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **ჯონდო არაბიძე:** „თავიდან რომ აგვეცილებინა მოსახლეობის არასამართლიან მდგომარეობაში ჩაყენება, თანადაფინანსების წილი ყველა მოქალაქეს ანალოგიურად განვუსაზღვრეთ, პროცენტი არის დიფერენცირებული თუმცა წილობრივი მონაწილეობა თანაბარია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია:** „როგორ ფიქრობთ, უკვე არსებული პროგრამის დროს, როდესაც მოქალაქეებს გადაცემული მასალის შემდეგ, რეაბილიტაციის თანხის შეგროვება სჭირდებოდათ, ის თანხა და ამ ახალ პროგრამაში გაწერილი თანამონაწილეობის თანხა, იქნება თუ არა განსხვავებული?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-საბინაო ინფრასტრუქტურის მართვის და განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **ჯონდო არაბიძე:** „დათვლილი გვაქვს და იქნება ოდნავ განსხვავებული, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ მოქალაქეებს ჰქონდათ ვალდებულება მოეძებნათ კვალიფიციური მუშახელი, მანქანამექანიზმები, მოემზადებინათ პროექტი და ა.შ. და ამ ყველაფერზე მათ ეხარჯებოდათ, როგორც მატერიალური რესურსი, ასევე დრო, დღესდღეობით პროექტის ვალდებულებას ვიღებთ ჩვენ, აბსოლიტურად ყველა ვალდებულებისგან ვათავისუფლებთ მობინადრეებს და ვუტოვებთ მხოლოდ წილობრივ თანადაფინანსებაში მონაწილეობის მიღების ვალდებულებას."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „არ მინდა მოსახლეობამ გაგვიგოს ისე, რომ ჩვენი კონკრეტული შეხედულებებიდან გამოვედით, ჩვენ მათ ვუტოვებთ არჩევანის საშუალებას, ის ძველი არსებული პროექტიც რჩება და ეს ახალიც ემატება, თანხა ორივე პროექტში არის გათვალისწინებული და მოსახლეობა თავისი შეხედულებისამებრ აირჩევს მისთვის ოპტიმალურს, ხარისხის ვალდებულების პასუხისმგებლები ვხდებით ჩვენ."

კომისიის წევრი, ქალბატონი **მაია სიმონიძე:** „ავღნიშნავ, რომ ეს პროექტი ერთმნიშვნელოვნად შესანიშნავი პროექტია მოსახლეობისათვის, მე მაქვს ერთ ჩვენს თანაქალაქელთან კონტაქტი, რომელიც ძალიან შეჭირვებულია, მუშაობის გამო მას არ აქვს სოციალური ქულა, თუმცა ძალიან უჭირს, ჰყავს პირველი ჯგუფის ინვალიდი მეუღლე, შვილი ვერ მუშაობს, რადგან მამას უვლის. მათ, მოთხოვნის საფუძველზე თქვენ გადაეცით გადასახური მასალები, სახლი, რომელშიც ცხოვრობს პრივატიზებული არ არის და სახელმწიფოს საკუთრებაა. უმძიმეს მდგომარეობაშია ოჯახი და თუ კი არის შესაძლებელი ამ ახალ პროგრამაში იქნეს გათვალისწინებული გამონაკლისის სახით."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „არ მინდა წინასწარ დაანონსება გამომივიდეს, თუმცა გეტყვით ერთ რამეს, ჩვენ უსასყიდლოდ ვუხურავთ სახლებს სოციალური ქულის მქონე კერძო მესაკუთრეებს, წელს ეს პროგრამა სრულდება, ჩადებული გვაქვს 150 000 ლარი და გადავუხურავთ აბსოლიტურად ყველა სოციალურად დაუცველ ოჯახს სახლს. მეორე ეტაპად ვგეგმავთ ავწიოთ სოციალური ქულა, მოვაქციოთ კრიტერიუმებში და დავიწყოთ მეორე ეტაპის განხორციელება. თუმცა გამონაკლისი, რასაც ამ შემთხვევაში თქვენ გულისხმობთ, შესაძლებელია დაკმაყოფილებულ იქნეს მერიის სარეზერვო ფონდიდან, ჩვენ წელს 900 000 ლარი გვაქვს ჩადებული აღნიშნულ ფონდში, შევისწავლოთ ეს ოჯახი, მუშა პროცესში გავიაროთ და შემლებისდაგვარად გავუწიოთ დახმარება."

კომისიის წევრი, ქალბატონი **მაია სიმონიძე:** „კიდევ ერთ პრობლემას შევეხები, რამდენად არის შესაძლებელი გარეთა დაზიანებული ფასადების შეკეთება? მქონდა შემთხვევა, რომ მოსახლეობამ გამოთქვა უკმაყოფილება და შესაძლებელია თუ არა მათ მოგვმართონ განცხადებით აღნიშნულ საკიხთან დაკავშირებით?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „მარტივად გეტყვით, რომ არ იმუშავებს ეს პროგრამა და აგისხნით რატომ, პირობითად თუ სადარბაზოს რეაბილიტაცია ჯდება 20 000 ლარი და სახურავის-43 000 ლარი, გარეთა ფასადი

ჯდება 300 000 და 1 მილიონი ლარიც კი, დამეთანხმებით, რომ არარეალურია მოსახლეობის მხრიდან ამ თანხაში თანამონაწილეობის მიღება და საჭირო თანხის ამოღება."

კომისიის წევრი, ქალბატონი **მაგდა კოსტავა:** „პირველ რიგში მივესალმები ამ პროექტს და ავღნიშნავ, რომ არაერთ კმაყოფილ მოქალაქეს შევხვდი, ვინც ამ პროგრამას გაეცნო, თქვენ ახსენეთ 50 განაცხადი, მთლიანობაში ბიუჯეტში განსაზღვრული თანხა რამდენი ბინის გადახურვას გულისხმობს და როგორ ხდება რიგითობის დაცვა, არის რაიმე კრიტერიუმები?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „პრაქტიკულად მომართვიანობის რიგითობის მიხედვით განხორციელდება რეაბილიტაციაც, რაც შეეხება თანხებს, ძველ პროექტში დავტოვეთ 800 000 ლარი, რაც გადასახური მასალების მიწოდებას გულისხმობს და 1 800 000-ს მოვზიდავთ მხოლოდ გადახურვებში. წელს ჩვენი პრიორიტეტი იქნება საბინაო ინფრასტრუქტურა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-საბინაო ინფრასტრუქტურის მართვის და განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **ჯონდო არაბიძე:** „თქვენის ნებართვით გადავალ მეორე მნიშვნელოვან პროგრამაზე, რაც სადარბაზოების შიდა რემონტს გულისხმობს, დღეს გვაქვს არსებული პროგრამა სადარბაზოებთან დაკავშირებით, რომლითაც შესასვლელ კარებს და სადარბაზოს ფანჯრებს ვუკეთებთ რეაბილიტაციას, მოსახლეობის წილობრივი მონაწილეობა თანადაფინანსებაში შეადგენს 5%-ს და დღესდღეობით საკმაოდ დიდი გამოხმაურება აქვს, დაახლოებით 1 400 000 ლარის პროექტი უკვე შედგენილი გვაქვს და ამ მიმართულებით წლევანდელ ბიუჯეტში 800 000 ლარია ჩადებული. ახლა უშუალოდ ახალ პროექტს გაგაცნობთ, ეს უკავშირდება სადარბაზოს მთლიან შიდა რემონრტს, კედლები, სახელურები, კიბის საფეხურები, ბაქნები, სენსორული განათება, ასასვლელი ლუქები, სხვენზე გასასვლელი, ანუ მოსახლეობას ვთავაზობთ სრულ კომპლექტს და მინდა გითხრათ, სკეპტიკურად ვუყურებდით თანადაფინანსებაში მოსახლეობის მონაწილეობის საკითხს, თუმცა ძალიან დიდი გამოხმაურება ჰპოვა და დღეის მდგომარეობით 500-მდე სადარბაზოს დაწერილი აქვს უკვე განაცხადი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „აღნიშნული პროექტი ახალი გამოგონილი არ არის, წლების განმავლობაში ეს პროექტი იყო მერიაში და გაუქმდა, აგიხსნით რატომ, პირველი-შემსრულებელთან გვიჭირდა თანხის გადახდა, მეორე-ვიტოვებდით გარკვეულ თანხას და წლები ვუნდებოდით შემსრულებელთან დავას თუ რატომ ვერ ვუბრუნებდით დარჩენილ თანხას. ორი წლის მერე როდესაც დატოვებულ თანხას ითხოვდა შემსრულებელი, სადარბაზოები გვხვდებოდა სრულიად ამორტიზირებული, ვანდალურად დაზიანებული და განადგურებული. შემსრულებელი რჩებოდა უკმაყოფილო და არ იყო პასუხისმგებელი მოსახლეობის უმსგავს საქციელზე, ამიტომ ჩვენ უნდა ჩავუდოთ პირობები, მოსახლეობა გავხადოთ თანამონაწილე, რომ მათი ინტერესიც იყოს ამ სადარბაზოების მოვლა-პატრონობა."

კომისიის წევრი, ბატონი **თეიმურაზ ნადირაძე:** „რემონტისას არის რაიმე სტანდარტები გათვალისწინებული? ფერი, ფორმა, მასალა?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-საბინაო ინფრასტრუქტურის მართვის და განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **ჯონდო არაბიძე:** „მაგაზე ნაფიქრი გვაქვს, რომ არ მომხდარიყო რაიმე სახის ლაფსუსი, დანართში ჩავწერეთ მუხლი, ამხანაგობას ვაძლევთ პრიორიტეტს, აირჩიოს ფერი, მაგრამ ერთი კონკრეტული ფერის არჩევის შემთხვევაში, ვეღარ შეცვლის მას და ყველა სადარბაზო იქნება ერთ ტონალობაში, ერთნაირი მასალით, ერთნაირი მოდელით რეაბილიტირებული, ამ ყველაფერს ამხანაგობა ჩაწერს სხდომის ოქმში და შეუძლებელი იქნება შემდეგ მასში ცვლილების შეტანა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია:** „პროექტი ერთმნიშვნელოვნად მისასალმებელია, საინტერესოდ მოიტანეთ ჩვენამდე და დაგვანახეთ ის ინტერესიც, რაც გამოიწვია უკვე მოსახლეობაში, თუმცა როდესაც კონკრეტული ღირებულებები დასახელდება და პროცენტული თანადაფინანსების წილი დადგინდება, ვფიქრობ, რომ შესაძლოა მომართვიანობა შემცირდეს, ამიტომ მიმაჩნია სწორად, რომ ცოტა ხანი დავაკვირდეთ როგორ განვითარდებაპროცესი, ვფიქრობ, 15 პროცენტიც არ არის ცოტა თანხა იმ ფასეულობიდან გამომდინარე, რაც შეიძლება დაჯდეს ერთი სადარბაზოს რემონტი. მაგალითად მოვიყვან ლიფტების რეაბილიტაციაში თანამონაწილეობის საკითხს, იმდენად ბევრი პროცედურაა გასავლელი, მოსახლეობას უჭირს ხოლმე თანამშრომლობა. გამოცდილებიდან გამომდინარე 15% საკმაოდ დიდი თანხა მგონია და დავაკვირდეთ განვითარებულ მოვლენაბს. ვახსენე და აქვე გავაგრძელებ ლიფტების რეაბილიტაციის თემას, ძალიან რთული მდგომარეობაა ამ მხრივაც, იქნებ შევძლოთ და გავაერთიანოთ საპროექტო წინადადების წარდგენა და ექპერტიზაც და მოქალაქეს ჰქონდეს საშუალება, როდესაც უკვეთავს პროექტს, ის კიდე დამატებით ექპერტიზას არ მოიცავდეს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-საბინაო ინფრასტრუქტურის მართვის და განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **ჯონდო არაბიძე:** „ჩვენც გარკვეულწილად ანალოგიური აზრი გაგვაჩნდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ როდესაც რეალურად დავდექით საქმის პირისპირ, მოსახლეობამ ცოტა სკეპტიკურად შეხედა ამ თემას, შემდეგ ნახეს, რომ ლიფტი არის განსაკუთრებული საფრთხის შემცველი მექანიზმი, რომელსაც ექსპეტრიზის ჩატარების გარეშე მოსახლეობას ვერ გამოაყენებინებ, თუ პროექტი არ არის იმ სათანადო პარამერტებით შედგენილი, რომელიც საბოლოოდ მიგვიყვანს ლიფტის უსაფრთხო მექანიზმად ქცევამდე, ამ შემთხვევაში უკვე ფატალურ შედეგამდე შეიძლება მივიდეთ. როდესაც მოსახლეობას დეტალებში ავუხსენით საფრთხის შემცველი გარემოებები, წამოვიდნენ შეთანხმებაზე და დღეს 13 ლიფტის პროექტი და გაექსპერტების თანხაში მათი წილობრივი მონაწილეობის მოთხოვნა გადაგზავნილია და 25 რიცხვში ჩვენ დოკუმენტაცია მზად გვექნება."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „ჩემი აზრით, უმჯობესიც იქნება თავიდან ბოლომდე მერია ახორციელებდეს ამ პროექტს, მოსახლეობა ზოგჯერ გაექცა ღირებულებას, შეიძლება ჩვენ მივიღოთ ლიფტი მაგრამ ვიზუალი არ მოგვეწონოს, ჩვენ აღმაშენებელზე ვცვლით ლიფტს, რომელიც ჯდება 85 000 ლარი, ექპერტიზა იმიტომ სჭირდება, რომ დადგინდეს მისი უსაფრთხოება, ღმერთმა არ ქნას ექპერტიზის გარეშე შევიდეს ექსპლოატაციაში და დამთავრდეს ფატალური შედეგით."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია:** „მე იმას არ ვგულისხმობ, რომ ექსპერტიზა არ არის საჭირო, ეს რა თქმა უნდა აუცილებელია, მე ვგულისხმობ, რომ ბიუროკრატია, რომლის მიხედვით კიდევ დამატებით ვალდებულებად მოქალაქეებს აწვება მთელი რიგი პროცედურები, ხომ არ შეგვეცვალა და მერიას აეღო პასუხისმგებლობა, თუნდაც ამის გაექსპერტების."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ლევან სანიკიძე:** „თქვენის ნებართვით მივუბრუნდები განსახილველ საკითხს და სადარბაზოების კეთილმოწყობასთან დაკავშირებით მაქვს კითხვა, ბატონო ჯონი, თქვენ ჩამოთვალეთ სრული პაკეტი, რისი რეაბილიტაციაც არის ახალი პროგრამით შესაძლებელი, აქვს მოსახლეობას საშუალება ჩამონათვალიდან აარჩიოს მისთვის სასურველი სარეაბილიტაციო პირობები?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- საბინაო ინფრასტრუქტურის მართვის და განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **ჯონდო არაბიძე:** „რა თქმა უნდა, ჩვენ მოსახლეობას ვაძლევთ არჩევანის საშუალებას, ისინი კრების ოქმით ადგენენ იმ ყველა პარამეტრს, რისი განხორციელებაც მათ უნდათ, ამის მიხედვით დგება ხარჯთაღრიცხვა, პირობად ვუდებთ ერთ რამეს, რომ სადარბაზოს რემონტამდე ბინას აუცილებლად მოწესრიგებული უნდა ჰქონდეს სახურავი."

კომისიის წევრი, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „ვთქვათ შემოსულია ორი განცხადება, სხვა და სხვა სადარბაზოზე, ერთ მათგანს ჩატარებული აქვს უკვე არსებული პროგრამით გათვალისიწნებული რეაბილიტაცია, (ფანჯრების და კარების ჩასმა) და მეორეს არ უსარგებლია არც ერთი პროგრამით, მაინტერესებს პრიორიტეტი რომელს მიენიჭება რიგითობის მიხედვით?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- საბინაო ინფრასტრუქტურის მართვის და განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **ჯონდო არაბიძე:** „ჩვენ რიგითობა დაცული გვაქვს მომართვიანობის მიხედვით და პრიორიტეტს არ მივანიჭებთ რაიმე სხვა ნიშნის გამო, ეს ყველაზე სამართლიანია. თქვენის ნებართვით გადავალ მესამე მნიშვნელოვან პროგრამაზე -ავარიული საცხოვრებელი სახლების ხანგრძლივი ექპლოატაციით გამოწვეული ავარიული მზიდი კონსტრუქციების შეკეთება. კედლების, შუა გადახურვის და სასხვენო გადახურვის დაზიანებულ ფილებზეა საუბარი, რომელიც საკმაოდ პრობლემატური თემაა და განსაკუთრებით მძიმე სიტუაციაა ისეთ კორპუსებში, სადაც უნებართვო მიშენებებს ვაწყდებით. გვაქვს ისეთი კორპუსები, სადაც ვნახულობთ, რომ შენობას აქვს აქტიური ბზარები გაჩენილი, ძირითადად მაღლივი კორპუსები, ასევე ძველ აშენებულ ბინებში ხშირად ჩაშლილია სართულშუა გადახურვის ფილები. საპროექტო დოკუმენტაციის გამზადების ვალდებულება ჩვენ გვეკისრება, თანადაფინანსების წილობრივი მონაწილეობა შეადგენს 10/90 %-ს."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ლევან სანიკიძე:** „მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მდგრადობის თემა კარგად შესასწავლი, საყურადღებო პრობლემაა და სერიოზული მუშაობა ესაჭიროება."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **დავით ერემეიშვილი:** „ბათუმში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ ძალიან მოიმატა მომართვიანობამ, ჩვენ სამწუხაროდ არ გვაქვს ვალდებულება შენობების მდგრადობაზე დავდოთ დასკვნა, რამდენიმე მოქალაქეს გავეცით შემდეგი პასუხი, რომ მერია აიღებს ვალდებულებას, გააკეთებს მუშა ჯგუფს, რომელიც დაკომპლექტებული იქნება სპეციალისტებით, ავანაზღაურებთ მათ მომსახურეობას და განცახდებების მომართვიანობის საფუძველზე დაიწყება შენობების მდგრადობის შემოწმება.“

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 7-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ბრეგაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განსახორციელებლად თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამებით განსაზღვრული ღონისძიებების დამტკიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის N41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და წარდგენილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე შენიშვნების გარეშე.

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **დავით ნიშნიანიძემ.**

(განკარგულების პროექტი

ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **დ.ნიშნიანიძემ** აქვე განმარტა: „მოგეხსენებათ, 10 დეკემბერს ჩვენს მიერ კანონმდებლობის შესაბამისად წარმოდგენილ იქნა 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომლის პარამეტრები საბოლოო ჯამში განისაზღვრა 89 876 800 ლარით, ზოგადად შევეხები

გადასახადების ნაწილს, ამ ნაწილში გვაქვს მნიშვნელოვანი ზრდა, დღგ-ს ნაწილში- 5მილიონნახევრიანი, ხოლო ქონების გადასახადის ნაწილში- მილიონნახევრიანი ზრდა. თუ შევადარებთ 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტს წლევანდელი ბიუჯეტის პროექტს, ჯამში გვაქვს 30 მილიონამდე ზრდა, რაც დამეთანხმებით უპრეცედენტო შემთხვევაა ჩვენს ბიუჯეტთან მიმართებაში, გადავალ ხარჯვით ნაწილში, ინფრასტრუქტურაში იხარჯება 32 მილიონნახევარი, მთელი ბიუჯეტის 35%. ამ ეტაპზე დაგეგმილი ინფრასტრუქტურის ნაწილს ჩავშლი_ გზები-7 279 000 ლარი, 5 მილიონნახევარი იხარჯება საპილოტე რეგიონების ფარგლებში, დამატებით ველოდებით 10 მილიონნახევრის გამოყოფას რეგიონალური განვითარების ფონდიდან. ორმოულში გათვალისიწინებულია-800 000 ლარი, სანიღვრე სისტემის რეაბილიტაცია-700 000, ვიდეოსამეთვალყურეო კამერების მოვლა-პატრონობა-220 000 ლარი, გარე-განათების ქსელის ექსპლოატაცია-3 850 000 ლარი, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ავარიული სახურავების შეკეთება-150 000 ლარი, საყრდენი და დამცავი კედლების რეაბილიტაცია-500 000 ლარი, ადმინისტრაციული შენობების მშენებლობა-რეკონსტრუქცია-475 000 ლარი, ლიფტების რეაბილიტაცია-ჯამში 300 000."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „ბატონო მალხაზ თქვენთან მექნება ერთი თხოვნა, რამდენად არის შესაძლებელი, თუკი გვაქვს რაიმე საახალწლო განათებები მარაგში, ნიკიტინის სკვერი, რომელიც რეაბილიტირდა და მოსახლეობის მოწონება დაიმსახურა, გავანათოთ საახალწლო ინსტალაციებით?"

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის" დირექტორი, ბატონი **მალხაზ ბასილაძე:** „ამ ეტაპზე ფიზიკურად შეუძლებელია სამწუხაროდ, არ გვაქვს რესურსი და ახლა ვერც მოვასწრებთ საჭირო თანხების მობილიზებას და რაიმე სახის განათებების შეძენას აღნიშნული სკვერის გასანათებლად."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **დავით ნიშნიანიძე:** „ბოლო პუნქტზე გავამახვილებ ყურადღებას და გეტყვით, რომ გამწვანებაში გვაქვს 1 852 000 ლარი, 1 298 000 ლარი ჯდება არსებული სკვერების მოვლა-პატრონობა და დასუფთავება და არაფინანსურ მუხლში გვაქვს გათვალისწინებული 554 000 ლარი, რომლითაც მოხდება სკვერების სრული რეაბილიტაცია."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** სიტყვა გადასცა ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელს ქალბატონ **მარი დევიძეს** სამომავლო პროექტების და გეგმების წარმოდგენისათვის.

ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი, ქალბატონი **მარი დევიძე:** „1 050 000 ლარით განისაზღვრა ტურიზმის ცაინფორმაციო ცენტრის 2022 წლის ბიუჯეტი, მთავარი ხარჯები წავა პროექტებზე, ღონისძიებებზე და ფესტივალებზე, რაც ფუნქციურად გვევალება, ასევე ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია კერძო სექტორის ხელშეწყობაც და თანხები გამოყოფილია ასევე ტრენინგებზეც. ფესტივალებთან დაკავშირებით წინასწარი დაგეგმვის პრობლემა გვაქვს ქვეყანაში არსებული ეპიდემიური ვითარების გამო, ძნელია წინასწარ

ანონსის გაკეთება, თუმცა რამოდენიმე ფესტივალი უკვე დაგეგმილი გვაქვს, ეს არის ღვინის ფესტივალი, ტრადიციული ყველის ფესტივალი, დეკემბერში კათოლიკური შობის ფესტივალი (ვსარგებლობ შემთხვევით და ყველას გეპატიჟებით). 7 იანვარს აუცილებლად ვიზეიმებთ მართლმადიდებლურ შობას. ვფიქრობ, ამ ტრადიციების აღდგენით და დღესასწაულების ერთობლივი აღნიშვნით, ჩვენ დავამტკიცებთ, რომ ქუთაისი ნამდვილად ტოლერანტული და მულტიკულტურული ქალაქია."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია:** „ხაზი მინდა გავუსვა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი ტრადიციაა და მადლობას გიხდით, რომ გვეძლევა საშუალება ჩვენც მივიღოთ მონაწილეობა. აქვე მინდა ავღნიშნო, ის პროცესები, რომელიც ტურიზმის სექტორში მიმდინარეობს და 2021 წელს ძალიან ადაპტირდა კოვიდპანდემიურ გარემოსთან, განხორციელდა არაერთი ღონისძიება, რისთვისაც გიხდით მადლობას, აი ამ გამოცდილების გათვალისინებით, მომავალ წელს რაიმე სიახლეს ხომ არ სთავაზობთ კერძო სექტორს?"

ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი, ქალბატონი **მარი დევიძე:** „ვთავაზობთ ისეთი პროდუქტების შექმნას, რომელიც კოვიდ ვითარებაზე იქნება მორგებული, ამის გარდა ღონისძიებები, რომელიც დაგეგმილია, ყველა იქნება რეგულაციების დაცვით ჩატარებული, ამჟამად მოლაპარაკება გვაქვს ქალაქში არსებულ კვების ობიექტებთან, გვინდა შევთავაზოთ მათ, გააკეთონ საშობაო ბაზრობა, გამოიტანონ მათი ნაწარმი და მოახდინონ რეალიზაცია. ვართ მოლაპარაკების პროცესში, თუ კი ვერ შედგა ეს მოლაპარაკება ჩვენ გვაქვს სათადარიგო გეგმა და მოსახლეობა არ დარჩება საახალწლო ნუგბარის გარეშე."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ლევან სანიკიძე:** „ბიუჯეტის პროექტში ვკითხულობთ, რომ შტატგარეშე მოსამსახურეთათვის ანაზღაურება განსაზღვულია 45 000 ლარით, თუ შეიძლება რომ განგვიმარტოთ აღნიშნული საკითხი."

ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი, ქალბატონი **მარი დევიძე:** „ამ ეტაპისათვის გვყავს 6 შტატგარეშე თანამშრომელი, მათ შორის ფოტოგრაფი, დამხმარე ოპერატორები, რომლებიც აეროპორტში ჩამოსულ ტურისტს აწვდიან ყველა საჭირო ინფორმაციას, დიზაინერი და სხვა."

კომისიის წევრი, ბატონი **ზაქრო მამასახლისი:** „თქვენ ახსენეთ ტრენინგები და მაინტერესებს რას მოიცავს ეს გადამზადება?"

ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი, ქალბატონი **მარი დევიძე:** „წლის დასაწყისში და არამხოლოდ წლის დასაწყისში, პერმანენტულად ჩვენი სამსახური მართავს შეხვედრებს კერძო სექტორთან, ეს გახლავთ გიდები, ტუროპერატორები, სასტუმროს სექტორი, კვების ობიექტები ანუ ძირითადად ის ადამიანები, ვისთანაც გვაქვს ურთიერთობა, შესაბამისად ამ შეხვედრებზე მათი საჭირეობების მიხედვით ვადგენთ რა კუთხით სჭირდებათ გადამზადება და ვაორგანიზებთ შესაბამისად ტრენინგებს."

კომისიის წევრი, ბატონი **ზაქრო მამასახლისი:** „მე ვიცი, რომ სერიოზული პრობლემაა სასტუმროების ადმინისტრატორების გადამზადებასთან დაკავშირებით, ფაქტიურად უცხოენოვან მომხმარებელთან უჭირთ კომუნიკაცია."

ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი, ქალბატონი **მარი დევიძე:** „დაგეთანხმებით, ჩვენ გვაქვს კომუნიკაცია სასტუმროს სექტორთან, შარშანაც და წელსაც ჩავატარეთ ფართო პროგრამა, სადაც სხვა დანარჩენთან ერთად შედიოდა სასტუმრო მომსახურეობაც და გადამზადდა შარშან 20 და წელსაც 20 ადამიანი, რომელთაც მიეწოდათ ზოგადი ინფორმაცია სერვისებთან დაკავშირებით, თუმცა აქვე ავღნიშნავ, რომ გვაქვს კიდევ ერთი პრობლემა, სასტუმროებს, რომლის კადრების გადამზადებაზეც არის საუბარი, ვთავაზობთ თანადაფინანსებას, მოგეხსენებათ საკამოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული კვალიფიციური ტრენერების ჩამოყვანა და პრობლემა აქვთ ამ თანადაფინანსებაში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით, ჰქონიათ შემთხვევა, რომ გადამზადებულ კადრს დაუტოვებია სამსახური და სხვაგან წასულა, ამიტომ ნაკლებად აქტიურობენ ამ თვალსაზრისით."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია:** „ტურიზმის სექტორი სხვადასხვაგვარია, აქვს ჩვენს ქალაქს კორპორატიული ტურიზმის პოტენციალი, რას გვეტყვით ამ თემასთან დაკავშირებით?"

ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი, ქალბატონი **მარი დევიძე:** „ძალიან კარგად გვაქვს შესწავლილი ეს სიტუაცია, ასეთი ტურიზმი მოითხოვს სასტუმროებს, სადაც არის ბევრი ნომერი და პლიუს საკონფერენციო დარბაზი, ჯერჯერობით ქუთაისში არ გვაქვს სასტუმრო, რომლის ნომერთა რაოდენობა აღემატება 30-ს და ეს ძალიან დიდ პრობლემას ქმნის, კორპორატიული ტურიზმი გათვლილია 100 ან 200 კაციან ჯგუფებზე და მე მქონია საუბარი იმ ტურისტულ კომპანიებთან, ვინც დაკავებულია ამ სფეროთი, მთავარი პრობლემა არის, რომ ქუთაისში ვერ ვათავსებთ აღნიშნულ ჯგუფებს."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** დღის წესრიგის მე-2 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 7-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ბრეგაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" და წარდგენილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე შენიშვნების გარეშე.

მუხლი 2. დღის წესრიგის მე-2 საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დასრულების გამო, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ლევან სანიკიძემ, კომისიის სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
ლევან სანიკიძე